დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“დირექტორის
2023 წლის 03 ოქტომბრის N 01/119 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი“

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

2023 წელი

მუხლი 1. წესის მიზანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოფილ იქნას სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ (შემდგომში ,,კოლეჯი“) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კოლეჯში დასაქმებულთა უფლებათა დაცვა.

მუხლი 2. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:
ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა (დანართი 1);
ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
დ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;
ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

მუხლი 3. მონაცემთა უსაფრთხოება

3.1. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან , გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან;
3.2. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა;
3.3. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს;
3.4. თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ;

მუხლი 4. ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შესახებ

4.1. კოლეჯში ვიდეოკონტროლის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილების, აგრეთვე, კოლეჯში მყოფი პირის/პირების უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა (არასრულწლოვანთა) მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნებისათვის;
4.2. ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა და ვიდეო ჩანაწერები დაცულია არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისაგან;

4.3. კოლეჯში დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელის, ასევე დერეფნების, მონიტორინგის განხორციელება, ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციისათვის;
4.4. კოლეჯმა თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება;
4.5. სამუშაო ადგილზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვისათვის, თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია;
4.6. კოლეჯი ვალდებულია იზრუნოს კოლეჯის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე;
4.7. კოლეჯის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი და კოლეჯის დარაჯი/დარაჯები;

მუხლი 5. მონაცემთა უსაფრთხოება

5.1. კოლეჯი მონაცემთა დამუშავებისას მიიღებს ისეთ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან , გამჟღავნებისაგან , მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან;
5.2. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს;
5.3. კოლეჯის თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ;

დანართი 1

თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და ფოტო/ვიდეო მასალის გამოყენებაზე

„პერსონალური მონაცემების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ამით ვადასტურებ ჩემს თანხმობას სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი'' მიერ ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. თანხმობა ეხება გვარს, სახელს, მამის სახელს, ასევე სქესის, დაბადების თარიღის, მოქალაქეობის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენების ტიპის (სერია, ნომერი, გაცემის თარიღი და ადგილი), მუდმივი და დროებითი რეგისტრაციის, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის, მუშაობის ადგილის, ტელეფონის, კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტის, ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ მონაცემებს, აგრეთვე სხვა ნებისმიერ პერსონალურ მონაცემებს, რომელთა დამუშავება ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობთ.

წინამდებარე თანხმობით ასევე უფლებას ვაძლევ სსიპ კოლეჯს ,,ფაზისი'' ჩემი პერსონალური მონაცემების შეგროვებაზე, ჩაწერაზე, სისტემატიზაციაზე, დაგროვებაზე, შენახვაზე, დაზუსტებაზე, წაშლაზე, განადგურებაზე, მათი მესამე პირებზე დასამუშავებლად გადაცემაზე.

თანხმობას ვაცხადებ ჩემი (ან ჩემი შვილის/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) ფოტოები და ვიდეოები ატვირთულ იქნას სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" ოფიციალურ ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუკგვერდზე, ასევე, აღნიშნული მასალა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სახის რეკლამაში, პიარის ამა თუ იმ ინსტრუმენტით, ინტერნეტ სივრცეში და პუბლიკაციებში, სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" პროექტების წარმატებით განხორციელების მიზნით.

გარდა ამისა, თანხმობას ვუცხადებ სსიპ კოლეჯს ,,ფაზისი" ჩემი (ან ჩემი შვილის/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) ფოტოები და ვიდეოები გადასცენ ამ სფეროში მომუშავე მესამე პირებს, რომელთანაც თანამშრომლობს კოლეჯი და აგრეთვე გადასცენ გრაფიკული დიზაინის სააგენტოებს, რათა ფოტო და ვიდეო მასალა დამუშავდეს და სათანადოდ შეირჩეს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" პიარ კამპანიისათვის.

თანახმა ვარ, რომ ჩემი პერსონალური მონაცემები გამოყენებულ იქნეს კოლეჯის საქმიანობის წარმართვისათვის, ჩემთან კავშირის საშუალებებით პირდაპირი კონტაქტის დამყარების გზით.

ამ თანხმობის მოქმედების ვადა განუსაზღვრელია. თანხმობის უკან გამოთხოვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს წერილობითი განცხადების საფუძველზე.

წინამდებარე თანხმობა გაცემულია ჩემს მიერ თავისუფლად, ჩემი ნება-სურვილით და ემსახურება ჩემს ინტერესს, ის არის კონკრეტული, ინფორმირებადი და ჩემს მიერ გაცნობიერებული.

სახელი და გვარი გარკვევით _____

ხელმოწერა _____

_____

თარიღი